



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**  
 Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**



ოქმი № 8 „14“ 06 2019წ

**დადგენილება № 26**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, 35-ე მუხლის მუხლის მე-2 პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პიველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი, 49-ე და 51-ე პუნქტების და 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის #51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 მარტის N11 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის შედეგები შემაჯამებელი ოქმების შესაბამისად და გამოცხადებულ აკადემიურ თანამდებობებზე დაინიშნონ:

- დავით გოდერძიშვილი - პროფესორის თანამდებობაზე (დარგი ვეტერინარია - სავეტერინარო მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია)
- თეა ოშხერელი - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე (დარგი ვეტერინარია - არაგადამდები დაავადებები)
- თემურ პაპუაშვილი - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე (დარგი ვეტერინარია - არაგადამდები დაავადებები)
- დემნა ხელაია - პროფესორის თანამდებობაზე (დარგი ვეტერინარია - ცხოველური სურსათის ჰიგიენა და ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზა)
- თენგიზ ყურაშვილი - პროფესორის თანამდებობაზე (დარგი ვეტერინარია - ინფექციური პათოლოგია და პრევენციული მედიცინა)
- მერაბ ნათიძე - პროფესორის თანამდებობაზე (დარგი ვეტერინარია - სავეტერინარო მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია)

- ნინო მილაშვილი - პროფესორის თანამდებობაზე (დარგი ვეტერინარია - სავეტერინარო პათოლოგია, ონკოლოგია, მორფოლოგია)
- ლალი მანჯავიძე - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე (დარგი ვეტერინარია - არაგადამდები დაავადებები)
- თეიმურაზ არეშიძე - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე (დარგი ვეტერინარია - სავეტერინარო ინსტიტუციური სისტემა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა)
- ზურაბ მაკარაძე - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე (დარგი ვეტერინარია - სავეტერინარო პათოლოგია, ონკოლოგია, მორფოლოგია)
- ლევან მაკარაძე - პროფესორის თანამდებობაზე (დარგი ვეტერინარია - სავეტერინარო პათოლოგია, ონკოლოგია, მორფოლოგია)

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. დადგენილება განთავსდეს ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე, ჩაბარდეს ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას და დაინტერესებულ პირებს.

4. საფუძველი: ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის 2019 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი ოქმი.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მაკა ბერიძე